ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.18.003.140) დაპროექტებული სასაწყობე შენობის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 2 4

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ

ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.19.18.003.140

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: სასაწყობე შენობა

პროექტის ავტორი: ლევან სიამაშვილი

შენობა-ნაგებობათა უსაფრთხოების ექსპერტი: სპარტაკ მელიქიშვილი

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

დასკვნის სარჩევი:

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 1

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2

კონსტრუქციის ტიპის შეფასება ---------- 3

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 4

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება ---------- 5

გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 6

მისაწვდომობის შეფასება ---------- 7

შიგა გარემოს შეფასება ---------- 8

გარე კედლების შეფასება ---------- 9

სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება ---------- 10

წყალსადენი სისტემების შეფასება ---------- 11

ლიფტების შეფასება ---------- 12

ავტოსადგომებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასება ---------- 13

სახანძრო და საავარიო სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა - ნაგებობასთან მისასვლელი გზების შეფასება---------- 14

1 გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- **შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით კლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.**
- **შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:**
  - **სასაწყობო ჯგუფი სწ-1**

    კოსმეტიკური ძაფების საწყობები +0.00 ნიშნულზე.

    შეესაბამება 311.2 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობა, ან შენობის ნაწილი რომელიც არ კლასიფიცირდება, როგორც საფრთხის შემცველი დაკავებულობა.

  - **საქმიანი ჯგუფი სქ**

    ოფისები +0.00; +3.95 და +7.90 ნიშნულებზე.

    შეესაბამება 304 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები ან მათი ნაწილები, რომლებიც გამოიყენება საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის.

  - **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს**

    ტექნიკური დანადგარების ოთახები +11.85 ნიშნულზე.

    შენობისგან დამოუკიდებლად განთავსებული სახანძრო ტუმბოებისა და ავზის ოთახი, საგენერატორო.

    შეესაბამება 312.1 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები, ნაგებობები და სხვადასხვა ნაგებობა, რომლებიც არ მიეკუთვნება რომელიმე სპეციფიკურ კლასს.

- **თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:**
  - საწყობები---------- 46.5 მთლიანი
  - ოფისები---------- 9.3 მთლიანი
  - მექანიკური მოწყობილობების ოთახები---------- 27.9 მთლიანი
- ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული

2 შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- საპროექტო შენობის სიმაღლე მიწის დონიდან განსაზღვრულია 14.86 მეტრით.

- საპროექტო შენობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე შეადგენს 12.45 მ-ს.
- საპროექტო შენობა 4 სართულიანია.
- ოთხივე სართული განთავსებულია მიწის დონის ზევით.
- სართულებზე დაკავებულობის ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგი სახით:
  - მიწის დონის ზედა I სართული +0.00 ნიშნ. ---------- ჯგუფი **სწ-1; სქ**
  - მიწის დონის ზედა II სართული +3.95 ნიშნ.---------- ჯგუფი **სქ**
  - მიწის დონის ზედა III სართული +7.90 ნიშნ. ---------- ჯგუფი **სქ**
  - მიწის დონის ზედა IV სართული +11.85 ნიშნ. ---------- ჯგუფი **დს**
- საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის მიხედვით.

3	კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობა გამიჯნულია „C“ ღერძის გასწვრივ ცეცხლმედეგი კედლით.
- საპროექტო შენობის „A-C“ ნაწილს მინიჭებული აქვს **(I-B)** კონსტრუქციის ტიპი, ხოლო „C-A“ ნაწილს მინიჭებული აქვს **(II-B)** კონსტრუქციის ტიპი, რაც დასაშვებია 503.1 ქვეთავის მიხედვით.
- კონსტრუქციული ტიპები სართულიანობის და დაკავებულობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული.
- კონსტრუქციული ელემენტებისადმი მოთხოვნები უნდა განისაზღვროს 601 ქვეთავის შესაბამისად.

I-B კონსტრუქციის ტიპი

- ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ----------2 სთ.
- გარე და შიგა მზიდი კედლები ---------- 2 სთ.
- იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ----------2 სთ.
- სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ----------1 სთ.

II-B კონსტრუქციის ტიპი

- ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ----------0 სთ.
- გარე და შიგა მზიდი კედლები ---------- 0 სთ.
- იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ----------0 სთ.
- სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ----------0 სთ.

- შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი კედლების, იატაკის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების, სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი შეესაბამება 601-ე ცხრილის მოთხოვნებს და შენობის ასეთი

ელემენტების, კომპონენტების და ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები განსაზღვრულია 706 და 721 ქვეთავის მიხედვით.

- რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, პროექტით დაცულია ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება 602 ცხრილის და 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ***შენიშვნა:*** I და II ტიპის კონსტრუქციებში 601-ე ცხრილში ჩამოთვლილი შენობის ელემენტები არაწვადი მასალების უნდა იყოს.

4	ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- შენობის შემადგენელი ნაწილები დაყოფილია ცეცხლისაგან დაცულ ფართობებად, სახანძრო უსაფრთხოების კუთხით ურთიერთდაცულ ნაწილებად.
- როგორც აღვნიშნეთ საპროექტო შენობა გამიჯნულია „C“ ღერძის გასწვრივ ცეცხლმედეგი კედლით.
- „C“ ღერძის გასწვრივ მდებარე საზიარო ცეცხლმედეგი კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 3 საათს, რაც აკმაყოფილებს 706.4 ცხრილის მოთხოვნას.
- გამმიჯნავი ცეცხლმედეგი კედელი აკმაყოფილებს თარაზული უწყვეტობისადგმი 706.5 ქვეთავის მოთხოვნებს. აღნიშნული კედელი ორივე მხრიდან დაცულია ავტოსაშხეფი სისტემით, რაც არ გვავალდებულებს გარე რომ გარე კედლიდან 45 სმ-ით იყოს გამოშვერილი. აღნიშნული დასაშვებია 706.5 ქვეთავის მე-3 გამონაკლისით.
- 706.5.1 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, იქ სადაც ცეცხლმედეგი კედელი კვეთს გარე კედელს, 1.20 მ მანძილზე გარე კედლებზე გათვალისწინებულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობა, ხოლო ამ მანძილში განთავსებული ღიობების ცეცხლმედეგობა უტოლდება 45 წუთს.
- ცეცხლმედეგი კედელი გრძელდება საძირკვლიდან დასრულების წერტილამდე, და გრძელდება უფრო დაბალი სახურავის დონიდან 76 სმ-ით ზემოთ 706.6.1 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად.
- ცეცხლმედეგ კედელში გაჭრილია ერთი ღიობი. ღიობი დაცულია 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის კარის ანაწყობით და მისი ფართობი არ აღემატება 15 კვ.მ-ს.
- თითოეული სართული დაყოფილია ცეცხლისაგან დაცულ ფართობად და ასეთი სახის გამიჯვნა უზრუნველყოფილია 707.3.10 ცხრილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კერძოდ გადახურვის ფილები წარმოადგენს გაძლიერებული ბეტონის სტრუქტურულ ნაწილს რომელთა ხანძარმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს.
- შენობას არ მოეთხოვება პარაპეტი, 705.11 ქვეთავის მე-6 გამონაკლისის თანახმად.
- შახტებისაგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.1, 713.2 და 713.4 ქვეთავების მოთხოვნას.
- შიგა გასასვლელის გზა-კიბისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.2 და 1022.2 ქვეთავების მოთხოვნას.

- დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა აკმაყოფილებს 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.
- თარაზულ ანაწყობში არსებული ყველა შვეული ღიობი მთლიანად შახტის შემომზღუდავშია მოქცეული, რაც შეესაბამება 712.1.1 ქვეთავის მოთხოვნას. შახტების ხანძარმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს.
- კარის ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად. კარის ღიობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვერულია 60 წუთით. (შენობა 3 სართულიანია).
- ფასადებს არ გააჩნია აივნები და მსგავსი ტიპის ნაშვერები, რომლებიც გარე კედლის მიღმა გრძელდება, არ უახლოვდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელ ხაზს 705.2 ცხრილში მითითებულ მანძილზე მეტად.
- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.

5	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- საპროექტო შენობა სრულად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით. იქ სადაც განთავსებულია ტექნიკური დანადგარები, გამოყენებული იქნება ალტერნატიული ავტომატური ცეცხლქრობის სისტემა.

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:

- 907.2.9.1 ქვეთავის მიხედვით შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას (სახანძრო სიგნალიზაცია). განგაშის გასააქტიურებელი კოლოფები 907.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნის თანახმად განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60 მ-ს არ აღემატება.
- შენობაში გათვალისწინებულია მხედველობითი განგაშის შეტყობინების მოწყობილობები 907.5.2.3.1 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად.

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- შენობაში განთავსებულია კვამლაღმომჩენები, 907 ქვეთავის მოთხოვნის თანახმად. კვამლაღმომჩენებით უნდა გააქტიურდეს სახანძრო განგაშის სისტემა.

სახანძრო მილდგარების სისტემა:

- შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო მილდგარების სისტემა, 905 ქვეთავის მოთხოვნის თანახმად.

შენიშვნა: სახანძრო მილდგარების კლასი და ადგილმდებარეობა დაზუსტდეს საინჟინრო პროექტში და შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო სამსახურთან.

ხელის ცეცხლმაქრები:

შენობაში, თითოეულ სართულზე გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები, რაც შეესაბამება, 906 ქვეთავის მოთხოვნას.

6 გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- საპროექტო შენობის პირველ სართულზე განთავსებულ თითოეულ სასაწყობო სივრცეს დაკავებულობის დატვირთვიდან დამომდინარე, (ცხრილი 1021.2(2), ემსახურება 2 გასასვლელი, გარეთ გასასვლელი გზა-კარის სახით.
- საპროექტო შენობის თითოეულ სართულს, დაკავებულობის დატვირთვიდან და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილიდან გამომდინარე (ცხრილი 1021.2(2), ესაჭიროება 2 გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია შემოზღუდული და ღია გზა-კიბის სახით.
- **“A-B” მონაკვეთში განთავსებული გზა-კიბე მიემართება პირდაპირ შენობის გარეთ, ხოლო „3-2“ მონაკვეთში განთავსებული შემოზღუდული გზა-კიბე შენობის გარეთ გადის საშხეფით აღჭურვილი ფართობის გავლით, რაც აკმაყოფილებს 1027.1 ქვეთავის პირველი გამონაკლისის მოთხოვნას, კერძოდ:**
  - შიგა გასასვლელის გზა-კიბეებისა და პანდუსების მაქსიმუმ 50% დასაშვებია გადიოდეს შენობიდან გამოსასვლელის დონეზე მდებარე ფართობების გავლით, თუ დაცულია ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

    - ამგვარი შემომზღუდავები გადის თავისუფალ და ჩაუხერგავ სავალ ბილიკზე, იქიდან კი გარეთ გასასვლელს კარში და ასეთი გასასვლელი ადვილად შესამჩნევი და ამოსაცნობია შემომზღუდავის ბოლოდან, **რაც პროექტით დაკმაყოფილებულია.**

    - შენობიდან გამოსასვლელის დონეზე მთელი ფართობი ქვემოთ მდებარე ფართობებისაგან გამიჯნულია კონსტრუქციით, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება შემომზღუდავისთვის განსაზღვრულ ცეცხლმედეგობის ხარისხს, **რაც პროექტით დაკმაყოფილებულია.**

    - შენობიდან გამოსასვლელის დონეზე შიგა გასასვლელის გზა-კიბიდან და პანდუსიდან გამავალი ბილიკი მთლიანად დაცულია ავტოსაშხეფი სისტემით. შენობიდან გამოსასვლელის დონის ყველა ნაწილი, რომლებიც მოიცავს გასასვლელ ბილიკთან მისადგომს, დაცულია 903.3.1.1 ან 903.3.1.2 ქვეთავების შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით ან გასასვლელი ბილიკისგან გამიჯნულია შიგა გასასვლელის შემოზღუდული გზა-კიბეების ან პანდუსებისთვის განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, **რაც პროექტით დაკმაყოფილებულია.**

- შენობიდან გამოსვლა ხდება პირდაპირ მიწის დონეზე და მისაწვდომ ბაქანზე, საიდანაც საზოგადოებრივ სივრცეში ვხვდებით დაუბრკოლებლად, რაც აკმაყოფილებს 1027.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- შენობიდან გამოსასვლელის გამტარუნარიანობა არ არის გასასვლელის აუცილებელ გამტარუნარიანობაზე ნაკლები, რაც აკმაყოფილებს 1027.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- შენობიდან გამოსასვლელის კომპონენტები საკმარისად გახსნილია გარე მხრისკენ, რაც აკმაყოფილებს 1027.3 ქვეთავის მოთხოვნას.
- „წესების“ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, აგრეთვე თითოეული სივრციდან გასასვლელი კარების რაოდენობა და ერთმანეთთან დაშორება.
- გასასვლელისკენ სავალი ბილიკები აკმაყოფილებს 1014.3 ცხრილის მოთხოვნებს.
- “A-B” მონაკვეთში განთავსებული გზა-კიბე ნიავდება ბუნებრივად, ხოლო „3-2“ მონაკვეთში განთავსებული შემოზღუდული გზა-კიბე ნიავდება მექანიკურად და აღჭურვილია ჰაერის დაწნევის სისტემით.

- გასასვლელის ყველა კარი იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულზე აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.

- ყველა იმ ფართში სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გზა-კიბეების გამტარუნარიანობის აკმაყოფილებს 1005.3.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.
- კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.

- კიბის ბაქნები არ არის კიბის მარშის სიგანეზე ნაკლები. ასევე კიბის მიმართულებით გაღებული კარი კიბის ბაქანს არ ამცირებს ნახევარზე მეტად, რაც აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნას.

- ყველა დაკავებული სივრცის გასასვლელის და გასასვლელთან მისადგომის გზა-კარის რაოდენობა და მდებარეობა აკმაყოფილებს 1015 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ყველა კარის (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს ღიობის 0.82 მ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008 ქვეთავის მოთხოვნებს.

- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასველლის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- გზა-კიბის ამოსაცნობი ნიშანი, მათ შორის ბრაილითა და ამობურცული სიმბოლოებით მოწყობილია გზა-კიბის იატაკის დონეზე არსებულ თითოეულ ბაქანზე.

7 მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა საპროექტო შენობა და მიწის ნაკვეთი მისაწვდომია.
- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან შენობის ყველა შესასვლელემდე და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე, თანახმად 1104 ქვეთავისა.
- საპროექტო შენობის ყველა მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე სამგზავრო ლოფტი მისაწვდომია შშმ პირთათვის.
- სასაწყობო და საოფისე ფართობებს ემსახურება მისაწვდომი ტუალეტის ოთახები, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავს.
- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ გზა-კიბეებს და მისაწვდომ სვლაგეზს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო განთავსებულია მისაწვდომ ტუალეტებთან, შესაბამისი ამობურცული სიმბოლოებითა და ბრაილის წარწერით, რაც შეესაბამება 1110.1 ქვეთავს.

8 შიგა გარემოს შეფასება:

- შენობაში არსებული დაკავებული ფართობები ნიავდება ბუნებრივად ფანჯრებისა და კარების საშუალებით და გარე გასაღები ღიობების ჯამური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში აღემატება გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ს. ასეთი ბუნებრივი განიავების წყარო გადის საზოგადოებრივ სივრცეში, რაც შეესაბამება 1203.4, 1203.4.1 და 1203.4.3 ქვეთავებს.
- რაც შეეხება ტუალეტის ოთახებს, ასეთი სივრცეები ნიავდება მექანიკურად, რაც შეესაბამება 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- გასასვლელის ავარიული განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში, რაც შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.
- თითოეული დაკავებული და გამოყენებადი სივრცის ჭერის სიმაღლე არ არის 2,3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავს.

9 გარე კედლების შეფასება:

- საპროექტო შენობის გარე კედლის მასალა 15 სმ სისქის სენდვიჩპანელია, რომლის შიგთავსი ქვაბაბისგან შედგება (აღნიშნული მასალა არაწვადია).
- 1403.4 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, გარე კედლების ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 602 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.
- გარე კედლებში ღიობების დასაშვები პროცენტულობა აკმაყოფილებს 705.8 ცხრილის მოთხოვნას.
- 705.8.5 ქვეთავის მე-2 გამონაკლისის მიხედვით, გარე კედლებზე მომიჯნავე სართულების ღიობების ერთმანეთისგან შვეულ დაშორებებთან მიმართებაში გამიჯვნის საჭიროება არ არის (შენობა სრულად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით).
- 705.11 ქვეთავის მე-6 გამონაკლისის თანახმად, გარე კედლებზე პარაპეტის აუცილებლობა არ არის.

10	სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება:

- საპროექტო შენობის სახურავი არის დაუკავებელი, კომბინირებული ტიპის, კერძოდ „A-C“ ნაწილში ბრტყელი და „C-A“ ნაწილში მცირედ ქანობიანი.
- შენობის „A-C“ ნაწილი, რომელსაც მინიჭებული აქვს **(I-B)** კონსტრუქციის ტიპი, გადახურულია გაძლიერებული ბეტონის ფილით, რომელზეც გათვალისწინებულია ქვაბამბის/მინერალური ბამბის (MW) თბოიზოლაცია, შემდეგ ცემენტით მოსწორება და ჰიდროიზოლაციის ფენა. აღნიშნულ გადახურვას გააჩნია სულ მცირე 2 საათიანი ხანძარმედეგობა. აღნიშნულ ნაწილში სახურავის ბურულის მასალა განსაზღვრულია B კლასის კატეგორიით. B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.
- შენობის „C-A“ ნაწილი, რომელსაც მინიჭებული აქვს **(II -B)** კონსტრუქციის ტიპი, გადახურულია 15 სმ სისქის სენდვიჩპანელით, რომლის შიგთავსი ქვაბამბისგან შედგება. (აღნიშნული მასალა არაწვადია). 601 ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (**II-B** ტიპი) გამომდინარე სახურავის კონსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი. აღნიშნულ ნაწილში სახურავის ბურულის მასალა განსაზღვრულია C კლასის კატეგორიით. C კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც უძლებს სუსტი ცეცხლის ზემოქმედებას.
- ჰიდროიზოლაცია მოწყობილია კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, რაც შეესაბამება 1503.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- სახურავის წყალარინი სისტემა იყენებს 100 მმ დიამეტრის წყალსადენ მილებს, რაც შეესაბამება 1503.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
- სახურავზედა ნაგებობების ფართობი არ აღემატება საყრდენი სახურავის ფართობის ერთმესამედს, რაც აკმაყოფილებს 1509.2.2-ე ქვეთავის მოთხოვნას.
- 1009.16 ქვეთავის თანახმად, სახურავზე ვხვდებით მონაცვლესაფეხურიანი კიბისა და სახურავის ლიუკის მეშვეობით.

შენიშვნა: 1506.4 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად სახურავის ბურულის მასალები პაკეტებად უნდა შეიფუთოს, რომელზეც მითითებული იქნება მწარმოებლის საიდენტიფიკაციო ნიშნები და რომელსაც

მიკრული ექნება 1505-ე ქვეთავის შესაბამისი ეტიკეტები. დიდი რაოდენობით ტრანსპორტირებულ მასალას უნდა ახლდეს ასეთივე ინფორმაცია, სერთიფიკატის ფორმით, ან მწარმოებლის მიერ მიწოდებული კონოსამენტი.

11 წყალსადენი სისტემების შეფასება:

- თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობის დასადგენად, დამკავებელთა საერთო რაოდენობა ორზე არის გაყოფილი, მოწყობილობების აუცილებელი რაოდენობის გამოსათვლელად, მოწყობილობების პროპორცია თითოეული მოწყობილობის ტიპისთვის თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობას მიესადაგება 1602.1 ცხრილის შესაბამისად. 1602.1 ცხრილის გამოყენებისას მიღებული წილადი რიცხვები კი მომდევნო მთელ რიცხვამდეა დამრგვალებული. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1602.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- **სწ** და **სქ** ჯგუფის დამკავებელთა რაოდენობის გათვალისწინებით, 1602.2 ქვეთავის თანახმად, ემსახურება 1602.1 ცხრილის შესაბამისი რაოდენობის კაცის, ქალის და შშმპ პირთა ტუალეტის ოთახები.

12 ლიფტის შეფასება:

- საპროექტო დოკუმენტაციით დაკმაყოფილებულია 1701.5 ქვეთავის მოთხოვნა და შენობას ემსახურება ერთი სამგზავრო ლიფტი.
- ლიფტი მისაწვდომია და მისი კაბინის გაბარიტები უტოლდება 1600 X 1600 მმ-ს.
- ლიფტის კარის ღიობის ზომა უტოლდება 900 მმ-ს.
- ლიფტი აკავშირებს ოთხ სართულს.
- ლიფტის შახტა შემოზღუდულია ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რომელა ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 2 საათით. აღნიშნული შეესაბამება 1702.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ლიფტის შახტის შემომზღუდავის ღიობი დაცულია მე-7 თავის მოთხოვნათა შესაბამისად და ასეთი ღიობში მოწყობილი კარის ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 90 წუთით, რაც შეესაბამება 1702.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.

13 ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება:

- საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია ღია, გარე ავტოსადგომები.
- ავტოსადგომი სივრცეები განთავსებულია იმავე მიწის ნაკვეთზე, სადაც ხდება მათი გამოყენება, რაც შეესაბამება 406.9.2.3 ქვეთავს.

- ავტოსადგომებზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომები შეესაბამება 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ თითოეული სტანდარტული ავტოსადგომის სიგანე უტოლდება 2.5 მეტრს, ხოლო სიგრძე 5.5 მეტრს.
- ავტომობილისთვის განკუთვნილ თითოეულ ადგილს აქვს ინდივიდუალური და მარტივი მისადგომები, რაც შეესაბამება 406.9.4.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- ავტოსადგომზე ავტომობილებისთვის განკუთვნილი ადგილები დახაზულია, თანახმად 406.9.4.6 პუნქტისა.
- ავტოსადგომზე გათვალისწინებული შშმ პირთათვის ავტომობილის სადგომების რაოდენობა შეესაბამება 1106.1 ცხრილს, კერძოდ გათვალისწინებულია ერთი შ.შ.მ. პითათვის განკუთვნილი ავტოსადგომი, რომელიც ადაპტირებულია მიკროავტობუსისთვისაც, რაც აკმაყოფილებს 1106.5 ქვეთავის მოთხოვნას.

14	სახანძრო და საავარიო სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა - ნაგებობასთან მისასვლელი გზების შეფასება.

- **915.3 ქვეთავის შესაბამისად,** შენობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე განსაზღვრულია სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზის ყველაზე დაბალი დონიდან და უტოლდება 12.45 მეტრს.
- **915.4 ქვეთავის გამონაკლისის მოთხოვნის შესაბამისად,** ვინაიდან საპროექტო შენობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე აღემატება 10 მეტრს და არ აღემატება 30 მეტრს, სავალდებულოა ქონდეს არანაკლებ 4.2 მეტრის სიგანის სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზა. პროექტით დაკმაყოფილებულია აღნიშნული მოთხოვნა.
- **915.8 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად**, ვინაიდან შენობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე 10 მეტრზე მეტია და არ აღემატება 30 მეტრს, სახა-ნძრო ავტოკიბეების მისასვლელი გზა, შენობის მხარეს მდებარე გზის კიდიდან თარაზულად შენობის გარე მხარის უახლოეს ნაწილამდე, დაცილებული უნდა იყოს არანაკლებ 4.5 მეტრი და არაუმეტეს 9 მეტრი მანძილით. პროექტით დაკმაყოფილებულია აღნიშნული მოთხოვნა.
- **915.9 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად**, ვინაიდან შენობის სახანძრო ტექნიკური სიმაღლე აღემატება 10 მეტრს, შენობის ნაწილებთან მისაწვდომად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახანძრო ტექნიკის მისაწვდომი თავისუფალი სივრცე, რომლის თავისუფალი სიგანე უნდა იყოს, სულ მცირე, 8 მეტრი. პროექტით დაკმაყოფილებულია აღნიშნული მოთხოვნა.

- **915.11 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად**, ვინაიდან შენობის სახანძრო ტექნიკური სიმაღლე არ აღემატება 23 მეტრს, შენობასთან მისადგომად უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახანძრო ტექნიკის მისადგომი გზა ერთი მხრიდან მთელ სიგრძეზე. პროექტით დაკმაყოფილებულია აღნიშნული მოთხოვნა, უფრო მეტიც, სახანძრო ტექნიკის მისასვლელი გზა გათვალისწინებულია სულ მცირე ორი მხრიდან.
- **915.14 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად**, სწ ჯგუფში შემავალ შენობა-ნაგებობასთან, რომელთა სიგანე 30 მეტრზე მეტია, სახანძრო ავტოკიბეებისათვის მისასვლელი გზა უნდა მოეწყოს მთელ სიგრძეზე, სულ მცირე, ორი მხრიდან. პროექტით დაკმაყოფილებულია აღნიშნული მოთხოვნა.
- **915.16 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად,** სახანძრო ავტოკიბეებისა და ავტოამწეებისათვის ხანძრის ჩაქრობის და სამაშველო სამუშაოების ჩატარების მიზნით შენობასთან დგომის ადგილის დახრა არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს. პროექტით დაკმაყოფილებულია აღნიშნული მოთხოვნა.
- **915.23 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად,** სახანძრო ტექნიკის მისადგომ ჩიხურ გზებს, რომელთა სიგრძე აღემატება 45 მეტრს, უნდა ჰქონდეს სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მოსაბრუნებელი არეალი. პროექტით დაკმაყოფილებულია აღნიშნული მოთხოვნა, კერძოდ, მიწის ნაკვეთზე ჩიხის ბოლოში გათვალისწინებულია მოსაბრუნებელი მოედანი ზომით 15მ×15მ-ზე.
- **915.25 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად,** სახანძრო ტექნიკის მისადგომი გზები არ უნდა ჩაიხერგოს არცერთ შემთხვევაში, მათ შორის, ავტოსადგომი სივრცეებით. პროექტით დაკმაყოფილებულია აღნიშნული მოთხოვნა.

დ ა ს კ ვ ნ ა:

ქ. თბილისი, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.18.003.140) დაპროექტებული სასაწყობე შენობის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობასია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

შენობა-ნაგებობათა უსაფრთხოების ექსპერტი:

სპარტაკ მელიქიშვილი

22.03.2024

გაფრთხილება!

- არქიტექტურულ პროექტზე სახანძრო სისტემები დატანილია პირობითად. დეტალურად დამუშავდეს საინჟინრო პროექტები და შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო სამსახურთან.
- კონსტრუქციული, საინჟინრო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით.
- სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:
- სახანძრო ტუმბოები, განიავების და ცეცხლის/კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები;

- ლიფტი და ლიფტის კაბინის განათება;
- გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად;
- არცერთ პირს არ შეუძლია აიღოს ან შეცვალოს ხანძრისგან დამცავი წესების შესაბამისად გათვალისწინებული და მოწყობილი რომელიმე სისტემა, მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანხმობის გარეშე.
- უკანონოდ ჩაითვლება შენობის რომელიმე ნაწილის გამოსაყენებლად ვარგისად აღიარება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები წინასწარ შემოწმებული და აღიარებული არ არის.

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

„ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

სპარტაკი მელიქიშვილი



მობილური: 995595989555
ელ-ფოსტა: smelikishvili@yahoo.com
ოჯახური მდგომარეობა: დასაქორწინებელი
დაბადების თარიღი: 18 იანვარი, 1969

განათლება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, სექტემბერი / 1990 - ივლისი / 1996
არქიტექტორი, არქიტექტურა
უმაღლესი განათლება

სამუშაო გამოცდილება

სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახური ***თებ / 2015 - ივნ / 2016 (16 თვე - 1,5 წელი)***

<u>მოვალეობები:</u> I-II კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების უფროსი

არქიტექტურული ჯგუფის ხელმძღვანელი, შ. პ. ს " არქსტუ-დია", ნოე / 2006 - ნოე / 2014 (96 თვე - 8 წელი)

<u>მოვალეობები:</u> პროექტირება, ზონირება, გეგმარება, კომპიუტერული გრაფიკა.

<u>მიზეზი:</u> პირადი განცხადების საფუძველზე

არქიტექტორი, შ. პ. ს " არქსტუდია", ნოე / 2004 - ნოე / 2006 (24 თვე - 2 წელი)

<u>მოვალეობები:</u> მშენებლობის მართვის სამსახური

<u>მიზეზი:</u> გადასვლა სხვა თანამდებობაზე

არქიტექტორი, შ. პ. ს " ბურჯი", ივლ / 2004 - ნოე / 2004 (4 თვე)

<u>მოვალეობები:</u> პროექტირება, ზონირება, გეგმარება, კომპიუტერული გრაფიკა.

<u>მიზეზი:</u> პირადი განცხადების საფუძველზე

უფროსი არქიტექტორი, შ. პ. ს " არქსტუდია", სექტ / 2002 - ივლ / 2004 (22 თვე - 1 წელი და 10 თვე)

<u>მოვალეობები:</u> პროექტირება, ზონირება, გეგმარება, კომპიუტერული გრაფიკა.

<u>მიზეზი:</u> პირადი განცხადების საფუძველზე

არქიტექტორი, შ. პ. ს"არქსტუდია", სექტ / 2000 - სექტ / 2002 (24 თვე - 2 წელი)

<u>მოვალეობები:</u> პროექტირება, ზონირება, გეგმარება, კომპიუტერული გრაფიკა.

<u>მიზეზი:</u> გადასვლა სხვა თანამდებობაზე

არქიტექტექტორი, **მ ს " თბილქალაქპროექტი"**, აგვ / 1999 - სექტ / 2000 (13 თვე - 1 წელი და 1 თვე)

მოვალეობები: პროექტირება

მიზეზი: პირადი განცხადების საფუძველზე

სრული სტაჟი: 199 თვე (16 წელი და 6 თვე)

ენები

ქართული (წერა:ძალიან კარგი, მეტყველება:ძალიან კარგი), ინგლისური (წერა:კარგი, მეტყველება:კარგი), რუსული (წერა:ძალიან კარგი, მეტყველება:ძალიან კარგი)

კომპიუტერული პროგრამები

AutoCAD (ძალიან კარგი), 3D MAX (ძალიან კარგი), Photoshop (ძალიან კარგი), ArchiCAD (ძალიან კარგი), Arc GIS (ძალიან კარგი), Windows 7 (ძალიან კარგი), Microsoft Office Excel (ძალიან კარგი), Microsoft Office Word (ძალიან კარგი)

პროექტები

- **PAPILON**, ოქტომბერი / 2013 - ნოემბერი / 2013
  სავაჭრო პავილიონი,
  ობიექტი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ნაკვეთი#25/21

- **სასტუმრო სამტრედიის ქუჩაზე**, მაისი / 2013 - ივნისი / 2013
  სასტუმრო,
  ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, წერეთლის გამზირი #117.

- **საცხოვრებელი კომპლექსი**, თებერვალი / 2013 - მარტი / 2013
  საცხოვრებელი და კომერციული,
  პროექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში ნუცუბიძის IV მიკრო, ნაკვეთი 02/041.
  შენობა შვიდსართულიანია, პირველ სართულზე განთავსებულია კომერციული ფართები, ხოლო დანარჩენი სართულები არის საცხოვრებელი.

- **საცხოვრებელი ტიპის სასტუმრო**, ოქტომბერი / 2012 - ნოემბერი / 2012
  საცხოვრებელი ტიპის სასტუმრო,
  ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელი გლდანი, ავშნიანი, ნაკვეთი# 6/74
  ობიექტი გამოირჩევა მისი რელიეფით ნაწილი შენობის სამ სართულიანია, ნაწილი ერთი.

- **შეშელიძის 25ა**, ივლისი / 2012 - აგვისტო / 2012
  მრავალფუნქციური,
  პროექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქ #25ა შენობა ორსართულიანია და არის მრავალფნუქციური. პირველ სართულზე განლაგებულია ავტოსერვისის ბოქსები, ავტონაწილების მაღაზია, კაფე. მეორე სართულზე კი ოფისები.

- **ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი**, აპრილი / 2011 - ივნისი / 2011

  ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი,
  ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ხეხილ-სანერგე მეურნეობა.

- **ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი**, აგვისტო / 2010 - ოქტომბერი / 2010
  ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი,
  ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის პლატო, IV მიკრო,
  ნაკვეთი#003/055

- **PARK PLACE**, ნოემბერი / 2004 - მაისი / 2006
  საცხოვრებელი კომპლექსი,
  ობიექტი მდებარეობს ი.ჭავჭავაძის გამზირზე #80(ცუს ტბის ასასვლელთან)
  არქსტუდიამ განახორციელა მშენებლობის მენეჯმენტი, რომელ ჯგუფშიც ვიყავი მთავარი არქიტექტორი, აღნიშნული კომპლექსი ერთ-ერთი პირველი ობიექტია რომელიც ჩაბარდა დასრულებული ბინებით.

- **ჭავჭავაძის 23-23ა**, დეკემბერი / 2002 - მარტი / 2003
  საცხოვრებელი კომპლექსი,
  მივიღე მონაწილეობა პროექტირებაში შ.პ.ს"არქსტუდიის" ჯგუფთან ერთად

- **ბანკი რესპუბლიკა**, მარტი / 2002 - თებერვალი / 2003
  სათაო ოფისი,
  ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში გრიგოლ აბაშიძის # 2 (ყოფლი ატენის ქუჩა)
  მივიღე მონაწილეობა პროექტირებაში შ.პ.ს არქსტუდიის ჯგუფთან ერთად

- **ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი**, თებერვალი / 1999 - ოქტომბერი / 1999
  სამედიცინო ცენტრი,
  პროექტი შესრულდა მ.ს "ქალაქპროექტი"-ის ზურაბ ზურაბიშვილის სახელოსნოში

საკონტაქტო ინფორმაცია

მამის სახელი	არსენი
სქესი	მამრობითი
მოქალაქეობა	საქართველო
დაბადების ადგილი	თბილისი
სამხედრო ვალდებულება	სამხედრო მოსამსახურე
პირადი ნომერი	01006006674
სერია	18IB27392
ფაქტობრივი მისამართი	დიღმის მასივი/ მე-2 კვ/ მე-13კ/ ბ #62, თბილისი, საქართველო
რეგისტრაციის მისამართი	დიღმის მასივი/ მე-2 კვ/ მე-13კ/ ბ #62, თბილისი, საქართველო
ავტომანქანის მართვის მოწმობის ნომერი	AH # 0543331
სახლის ტელეფონი	2530269

Georgia

IDENTITY CARD

მოქალაქის პირადობის მოწმობა

საქართველო

GEO



გარეთის No / CARD No

18IB27392

სახელი / FIRST NAME

სპარტაკ

SPARTAK

გვარი / LAST NAME

მელიქიშვილი

MELIKISHVILI

მოქ. / CIT | სქესი / SEX | პირადი No / PERSONAL No

GEO | მმ / M | 01006006674

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH

18.01.1969

მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY

05.09.2028

ხელმოწერა / SIGNATURE

ს. მელიქიშვილი

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
05.09.2018
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2017
სშს-ს რეგისტრაციის № 26-3184

IDGE018IB2739290100600667 4<<<<
6901187M2809056GE0<<<<<<<<<<<<8
MELIKISHVILI<<SPARTAK<<<<<<<<<<

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017-030

გადაეცემა

სპარტაკ მელიქიშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო"

თეიმურაზ გოლოთაშვილი, დირექტორი

ღია საზოგადოების ფონდი

March 29-30, 2021

Accessible and Usable Buildings and Facilities - National Standards

Certificate awarded to

Spartak Melikishvili

Keti Khutsishvili
Executive Director

www.osgf.ge

4, Chovelidze street, Tbilisi 0108, Georgia, Tel: (+995 32) 225 04 63; E-mail contact@osgf.ge

დიპლომი

საქართველო

დიპლომი ეა № 012022

მიეცა სჰარაფ არსენის ძე
ჩელოყანიშვილს

მასზე, რომ ის 1990 წელს შევიდა საქართველოს
ტექნიკურ უნივერსიტეტში

და 1996 წელს დაამთავრა აღნიშნული
უნივერსიტეტის
სრული კურსი
არქიტექტურის
სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1996 წლის
„17" ივლისის გადაწყვეტილებით
ს.ა. ჩელოყანიშვილს მიენიჭა არქიტექტორის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი „31" X 1996 წ.

რეგისტრაციის № 4719